



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 199/ს  
03/05/2023

199-21-4-202305031717



**კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კოდისწყაროში შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ მეორადი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კოდისწყაროში მეორადი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2020 წლის 18 დეკემბერს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კოდისწყაროში შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ მეორადი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს საქმიანობაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (№2-1187 ბრძანება).

2022 წლის 15 ნოემბერს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79<sup>8</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე (საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა) შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი №003125.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ საწარმო განთავსებულია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კოდისწყაროში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 4481 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 67.02.42.385; 67.02.42.391, 67.02.42.393 და 67.02.42.409). ობიექტის განთავსების GPS კოორდინატებია: X-446259, Y-4652175; X-446253, Y-4652118; X-446220, Y-4652122; X-446220, Y-4652126; X-446212, Y-4652127; X-446208, Y-4652125; X-446173, Y-4652130; X-446179, Y-4652184. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 38 მეტრით (ნულოვანი გაფრქვევის წყაროდან - 86 მეტრით), ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. თორთლა მიედინება 220 მეტრში.

გზმ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, საწარმოში ხორციელდება სინთეტიკური და ნახევრად სინთეტიკური ზეთების (საავტომობილო ძრავის, ტრანსმისიის და სხვა.) გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი ზეთების შეტანა, დროებითი დასაწყობება, შემდგომი გამოყენებისათვის საჭირო კონდიციამდე გადამუშავება და მიღებული პროდუქციის გატანა-რეალიზაცია. ამ მიზნით, ობიექტზე განთავსებულია 12 ერთეული MYOM-70 ტიპის დანადგარი (70 ლ/სთ), რომელიც უზრუნველყოფს წლის განმავლობაში 6048000 ლიტრი (4840 ტ/წელ) ნედლეულის გადამუშავებას. საწარმო ფუნქციონირებს წელიწადში 300 დღე, 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით ობიექტზე არსებულ თითოეულ ტექნოლოგიურ დანადგართან გათვალისწინებული იყო ავტომატური მართვის სახანძრო სისტემის მოწყობა, შესაბამისი მილგაყვანილობითა და ქაფწარმომქმნელებით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, საწარმოში დაგეგმილია გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ავტომატური სახანძრო სისტემის ნაცვლად, თითოეული ტექნოლოგიური დანადგარის თავზე ჭერის საფრქვევების (ცეცხლმაქრები) განთავსება, რომელიც უფრო მარტივად და ეფექტურად უზრუნველყოფს ცეცხლის ქრობას. გარდა ამისა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია საწარმოში არსებული 12 ერთეული MYOM-70 ტიპის დანადგარის ადგილმდებარეობის ცვლილება (იმავე შენობის შიდა პერიმეტრში, სამხრეთ-აღმოსავლეთით; GPS კოორდინატები: X-446249, Y-4652152), რის შედეგადაც გაიზრდება უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილი (38 მეტრიდან 110 მეტრამდე). საწარმოს წარმადობა, ტექნოლოგიური პროცესი და სამუშაო რეჟიმი დარჩება უცვლელი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაგეგმილი ცეცხლმაქრების მონტაჟისა და 12 ერთეული MYOM-70 ტიპის დანადგარის იმავე შენობის შიდა პერიმეტრში გადაადგილების სამუშაოები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებასთან. რაც შეეხება ობიექტის ფუნქციონირების ეტაპს, ზემოაღნიშნული დანადგარების ადგილმდებარეობის ცვლილების შედეგად საწარმოდან უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გაზრდის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მავნე ნივთიერებათა და ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება, ასევე, სუნის გავრცელება უახლოეს მოსახლესთან მიმართებაში, შემცირდება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების სპეციფიკის გათვალისწინებით, ცეცხლმაქრების მონტაჟისა და 12 ერთეული MYOM-70 ტიპის დანადგარის იმავე შენობის შიდა პერიმეტრში გადაადგილების სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვა კომპონენტებზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაიგზავნა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ვინაიდან, ობიექტზე დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით იზრდება უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილი, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ასევე, სუნის გავრცელებითა და ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება, უახლოეს მოსახლესთან მიმართებაში, შემცირდება.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კოდისწყაროში შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ მეორადი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2020 წლის 18 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფი“ ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება;
4. შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფი“ ვალდებულია, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში, 3 თვეში ერთხელ, უზრუნველყოს უახლოეს მოსახლესთან მიმართებაში ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგის წარმოება და მონიტორინგის შედეგების სააგენტოში, 6 თვეში ერთხელ, განსახილველად წარმოდგენა, ხოლო ნორმაზე გადაჭარბების შემთხვევაში - შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების სააგენტოსთან შეთანხმება;
5. შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოდგენს 2020 წლის 18 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს უნივერსალურ ჯგუფს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო